საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2021 წ. - 31.12.2021 წ.)

ხულო

2022 წ.

ძირითადი განმარტებები „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

- **შიდა კონტროლი** - მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, შიდა აუდიტს, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა. შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება არის დაწესებულების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, რომლის საშუალებითაც უნდა იქნეს მიღწეული დაწესებულების მიზნები საბიუჯეტო სახსრების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენებით;
- **ფინანსური მართვა და კონტროლი** - შიდა კონტროლის სისტემის ნაწილი, რომელსაც ნერგავენ და ახორციელებენ დაწესებულების ხელმძღვანელები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევისას სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას;

➢ კონტროლის გარემო;

➢ რისკის მართვა;

➢ კონტროლის ღონისძიებები;

➢ ინფორმაცია და კომუნიკაცია;

➢ მონიტორინგი და შეფასება.

1. **პრევენციული კონტროლი** - ისეთი კონტროლის ღონისძიება, რომელიც ხორციელდება გადაცდომის/შეცდომის, ზარალის ან სხვა ტიპის არასასურველი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, რაც მოიცავს პასუხისმგებლობების განაწილებას, ფიზიკურ კონტროლს აქტივების დაცვის მიზნით, პაროლებისა და სხვა ტიპის ღონისძიებებს ინფორმაციის დაცვის მიზნით და ა. შ.;

2. **აღმოჩენითი კონტროლი** - კონტროლის ღონისძიება, რომელიც დანერგილია შეცდომების გამოსავლენად, იმ შემთხვევაში თუ მათ უკვე ჰქონდათ ადგილი, დარაც მოიცავს ზედამხედველობას, ინფორმაციის ურთიერთშედარებას, ინვენტარიზაციას და ა.შ.;

3. **დირექტიული კონტროლი** - კონტროლის ღონისძიება, რომელიც ხორციელდება სასურველი შედეგის მიღების მიზნით, რაც მოიცავს პროცედურებს, მარეგულირებელ ნორმებს, სამუშაო აღწერებს და ა. შ..

- ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- მონიტორინგი და შეფასება.

- **რისკი** – ალბათობა ისეთი მოვლენის მოხდენისა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე;
- **შიდა აუდიტი** - დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ;
- შესაბამისობის აუდიტი – დაწესებულების საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება;
- **ეფექტიანობა** – დაგეგმილი შედეგებისა და დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, რაც გულისხმობს მიღწეული მიზნებისა და შედეგების განხორციელებულ ღონისძიებებთან კავშირს;
- **მიგნება** - აუდიტორული შემოწმების შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზრება და დადგენილი ფაქტი სისტემის სუსტი მხარის/მხარეების შესახებ, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს გადახრას კრიტერიუმიდან. მიგნება მიუთითებს გამოვლენილ რისკებზე და ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებებს;
- **კრიტერიუმი** - მოქმედი ნორმა (სამართლებრივი რეგულაცია), სტრატეგია, პოლიტიკა, სტანდარტი, დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრება, კარგი პრაქტიკა, საღი მსჯელობისა და პროფესიული განსჯის პროდუქტი/შედეგი, რომელთან მიმართებაშიც ფასდება არსებული სიტუაცია;
- **რეკომენდაცია** - მიგნებებზე დაყრდნობით, წარმოადგენს აუდიტის ჯგუფის მოსაზრებას იმ ღონისძიებების შესახებ, რაც უზრუნველყოფს რისკების შემცირებას და პროცესის შიდა კონტროლის სისტემის გაძლიერებას.

რისკები (მნიშვნელობა)		რეკომენდაციები (მნიშვნელობა)	
მაღალი	▪ ფინანსური გავლენა არის მაღალი; ▪ მნიშვნელოვანია გავლენა ორგანიზაციის სტრატეგიაზე და ოპერაციებზე;	მაღალი	▪ მოითხოვს მის დაუყოვებლივ შესრულებას, ▪ მითითებული საფრთხე არსებითად ზრდის ფინანსურ და რეპუტაციულ რისკებს და საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის საქმიანობას
საშუალო	▪ ფინანსური გავლენა არის საშუალო; ▪ ზომიერია გავლენა ორგანიზაციის სტრატეგიაზე და ოპერაციებზე;	საშუალო	▪ მოითხოვს მითითებულ ვადაში შესრულებას. ▪ მითითებული საფრთხის რეალიზაცია ზრდის ფინანსურ და რეპუტაციულ რისკებს.
დაბალი	▪ ფინანსური გავლენა არის დაბალი; ▪ დაბალია გავლენა ორგანიზაციის სტრატეგიაზე და ოპერაციებზე;	დაბალი	▪ მოითხოვს მითითებულ ვადაში შესრულებას ან გრძელვადიან განხორციელებას. ▪ მითითებული საფრთხის რეალიზაცია ზრდის ფინანსურ და რეპუტაციულ რისკებს გრძელვადიან პერსპექტივაში

შიდა აუდიტის საფუძველი	ხულოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 27 დეკემბრის №09-982136164 მოხსენებითი ბარათისა და დანართი №1 შესაბამისად ბრძანებით დამტკიცებული შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის სამოქმედო გეგმა;
შესამოწმებელი პერიოდი	01.01.2021წ. – 31.10.2021 წ.
შემოწმების პერიოდი	2021 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შიდა აუდიტის ჯგუფი	შიდა აუდიტორები - ზვიად თავართქილაძე (სამსახურის უფროსი), სოფიკო ქონიაძე და გენად შავაძე (სპეციალისტები)
შიდა აუდიტის ფარგლები	საბავშვო ბაღებში სასწალო-სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობა; ● გაერთიანების სისტემაში ნაშთებისა და მარაგების აღრიცხვის გამართულობა; ● საბავშვო ბაღებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობაზე ზედამხედველობა;
შიდა აუდიტის მეთოდები	ოფიციალური (გარე) წყაროებიდან და აუდიტის ობიექტიდან მოპოვებული ყველა დოკუმენტის განხილვა . ● ცალკეული სახის სამუშაოებზე და პროცესებზე დაკვირვება; ● პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუ (ინფორმაციის მიღება); ● მოპოვებული დოკუმენტაციის მიღებული ინფორმაციის ანალიზი .'
ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული შესასწავლი საკითები	საბავშვო ბაღებში მარაგების მოძრაობის ორგანიზების პროცესის შესაბამისობისა და ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება; ● სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შესაბამისობა მოქმედ რეგულაციებთან და არსებულ სტანდარტებთან; ● საბავშვო ბაღებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობის მდგომარეობისა და სტანდარტებთან/

	კრიტერიუმებთან შესაბამისობის ანალიზი . ● შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესის ეფექტიანობას. ● წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

განხორციელებული პროცედურები

დაგეგმვის ეტაპი:

- შეგროვებული და შესწავლილი იქნა აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- შესწავლილი იქნა აუდიტის ობიექტში მიმდინარე ძირითადი პროცესები;
- შეფასებული იქნა ორგანიზაციის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ქმედებების თანმდევი რისკები და კონტროლის მექანიზმები.

ანგარიშგება:

- აუდიტის შედეგების შესახებ მომზადდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, რომელიც გადაეგზავნება აუდიტის ობიექტს მოსაზრების წარმოდგენისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე " საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი

სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

,,ხულოს ბაღების გაერთიანების" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება" დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 15 დეკემბრის №63 განკარგულებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. ამავე განკარგულებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" (შემდგომში - გაერთიანება) წესდება.

გაერთიანებას აქვს საკუთარი ბალანსი და ანგარიში კომერციულ ბანკში. ასევე აქვს ბეჭედი, შტამპი და სტატუსის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი რეკვიზიტები.

გაერთიანება ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე.

გაერთიანება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო რუსთაველის ქ.№13.

წესდება, ზოგადად, სრულად მოიცავს ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" საქმიანობასა და მიზნებს, განსაზღვრულია ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებელია მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, განსაზღვრულია ასევე მისი ვალდებულებები.

ზოგადი მიმოხილვა:

გაერთიანება არის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც წარმოებს სამი წლიდან სასკოლო ასაკამდე ბავშვების მოვლა, აღზრდა-განათლება, მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა. ორგანიზაციის მიზანია მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას. ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. გაერთიანების სისტემა მოიცავს 23 საბავშვო ბაღი 4 ალტერნატიული მოქმედ საბავშვო ბაღს და 600-მდე აღსაზრდელს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება.

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების 2021 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 2 054 745 ლარით, ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 046 684 ლარი. ე.ი. დაგეგმილი ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 8 061 ლარით ნაკლები. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 99.6 %.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით გეგმით გათვალისწინებული იყო 1 296 085 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 1 293 957 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 728 119 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო ხარჯი ლარი 722 187, სხვაობამ შეადგინა 5 932 ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი შეადგენს 222 618 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 222 124 ლარი.

მივლინების ხარჯების მუხლით - გეგმით გათვალისწინებული იყო 200 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 99 ლარი.

ოფისის ხარჯი დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენდა 269 209 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 268 675 ლარს, დაგეგმილზე 534 ლარით ნაკლებს.

კვების ხარჯების მუხლით - გეგმით გათვალისწინებული იყო 197 416 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 193 010 ლარი, სხვაობა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის არის 44 ლარი.

სამედიცინო ხარჯების მუხლით - გეგმით გათვალისწინებული იყო 2144 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2143 ლარი.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით დაგეგმილი იყო 8 252 ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 8252 ლარი.

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტი:

ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების 2021 წლის საშტატო განრიგი გეგმით გათვალისწინებული იყო 253 საშტატო ერთეული. ხელშეკრულებით აყვანილია 58 თანამშრომელი.

გამოვლენილი შეუსაბამობები

- ა(ა)იპ „ხულოს საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ კვების უზრუნველსაყოფად მარაგების მოძრაობის ორგანიზების მიზნით დაწესებული კონტროლის მექანიზები საკმარისად ვერ უზრუნველყოფენ აღნიშნული პროცესის გამართულობასა და უწყვეტობას. აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების საიმედოობაზე.

იქმნება მარაგების ნაშთებში ცდომილებების, მომწოდებლებთან დაგვიანებული ანგარიშსწორების, საოპერაციო საქმიანობის გაუმართაობის რისკები.

მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის გარემოება, რომ გაერთიანებაში კვების ორგანიზების პროცესის გაუმჯობესების მიზნით არ არის დანერგილი დამატებითი კონტროლის მექანიზმი (ელ.პროგრამა)

რისკი არის საშუალო. იქმნება მარაგების ნაშთებში ცდომილებების, მომწოდებლებთან დაგვიანებული ანგარიშსწორების, არაზუსტი ფინანსური ანგარიშგების და საოპერაციო საქმიანობის გაუმართაობის რისკები.

რეკომენდაცია

კვების ორგანიზების პროცესის გაუმჯობესების მიზნით უმჯობესი იქნება დამატებითი კონტროლის მექანიზმის დანერგვა (ელ. პროგრამა), რაც გააუმჯობესებს მარაგების მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებით საოპერაციო და სააღრიცხვო პროცედურებს.

ა(ა)იპ „ხულოს საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ კვების ორგანიზების პროცესის გამართულობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს და სათანადოდ გაიმიჯნოს მასში ჩართულ თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, ხოლო მის სათანადო შესრულებაზე დაწესდეს მონიტორინგის საკმარისი და შესაფერისი მექანიზმები. დაინერგოს მარაგების მოძრაობისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული ელექტრონული პროგრამა.

გამოვლენილი შეუსაბამობა

აღმზრდელ-პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადების კუთხით, რაც ავტორიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, რამოდენიმე ონლაინ ტრენინგის გარდა, არ შემუშავებულა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების მქონე პედაგოგებზე მორგებული ერთიანი გადამზადების პროგრამა.

2021 წელს თბილისის მასწავლებელთა სახლმა განახორციელა უფასო ონლაინ ტრენინგი ფსიქოლოგებისა და ლოგოპედებისათვის.(ტრენინგ-კურსი მოიცავდა 55 საათს) ,ასევე ონლაინ კურსი განახორციელა ბათუმის მასწავლებელთა სახლმა ხულოს ბაღების 60 აღმზრდელისათვის და ეს კურსი გრძელდება მიმდინარე წელსაც.

გაერთიანების 2021 წლების ბიუჯეტით თანამშრომელთა ტრენინგებისთვის არ არის განსაზღვრული თანხა. ტრენინგები აუცილებელია საბავშვო ბაღების საქმიანობის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობისათვის.

ყოველივე აღნიშნული უარყოფითად აისახება სკოლამდელი აღზრდის სერვისის ხარისხზე, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოადგენს შემაფერხებელ გარემოებას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობისა და ავტორიზაციის მიზნებისთვის.

რისკი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც საშუალო დონის რისკად. იქმნება საბავშვო ბაღების მოქმედ სტანდარტებთან შეუსაბამობის, სასწავლო სააღმზრდელო პროცესის არაორგანიზებულობის, მეორდება ხარისხის გაუარესებისა და აღსაზრდელთა არასათანადო განვითარების რისკები.

რეკომენდაცია

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისათვის რეკომენდირებულია გაერთიანებაში შემუშავდეს მეთოდური და საგანმანათლებლო საქმიანობის სტანდარტები, სადაც გაწერილი იქნება აღმზრდელ-პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით შესაფერისი და საკმარისი ღონისძიებები. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს სააღმზრდელო პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობას და ავტორიზაციის პროცესის წარმატებულად განხორციელებას.

გამოვლენილი შეუსაბამობა

- ა(ა)იპ „ხულოს საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ უმეტეს ბაღში მზარეულის თანაშემწე და თეთრეულის მრეცხავის პოზიციები არაა განსაზღვრული. ამ შემთხვევაში მზარეულის თანაშემწის და თეთრეულის მრეცხავის საქმიანობას ითავსებს სხვადასხვა თანამშრომლი. რაც იწვევს გაერთიანებაში ჩართულ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების და დაკისრებული ფუნქციების აღრევას. არ შეიძლება მზარეულმა საკვებიც მოაზადოს ბავშვებისათვის და სამზარეულოს ჭურჭელი რეცხოს, საჭიროა დამხმარე რომელიც შეასრულებს აღნიშნულ სამუსაოებს

მიზეზი გამოვლენილი შეუსაბამობის არის არასაკმარისი თანამშრომელები.

რისკი არის საშუალო. ბაღებში თანამშრომელთა სიმცირის და ზოგიერთი შტატის-პოზიციის არ არსებობის გამო იქმნება პერსონალის მიერ სხვადასხვა საქმიანობის გადანაწილება , რაც ხელის შემშლელია ბაღის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის და სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელებისათვის.

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს და სათანადოდ გაიმიჯნოს ბაღში ჩართულ თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, შემდგომი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს საჭირო ხარჯები ბაღის ნორმალური, სტანდარტებთან შესაბამის ფუნქციონირებაზე.

გამოვლენილი შეუსაბამობა

სურსათის ეროვნული სააგენტო სისტემატურად ახორციელებს ბაღების შემოწმებას.გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები რის გამოც ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღები დაჯარიმდა 2021 წელს 9 300 ლარით.

2021 წელს დაიწერა სხვადასხვა სახის ჯარიმა ძირითადად კვების, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის და უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით. კერძოდ: გამწოვი სისტემის არასწორად დამონტაჟებაზე, არასაკმარის ხელსაბან ნიჟარებზე, სამზარეულოსა და სასადილო ოთახებს შორის კუთხეების სათანადოდ არ მოწყობაზე, გასანათებელი მოწყობილობის პლაფონების არ ქონაზე და ა.შ. იხილეთ დანართი №1 სადაც მოცემულია წლების მიხედვით სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმები.

წელი	ჯარიმების რაოდენობა (ლარი)
2018	10 900
2019	4 000
2020	4 840
2021	9 300
2022	5 000
სულ ჯამი	34 040

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად შეიქმნა სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების პროექტი რომლის ღირებულებამ შეადგინა 52 745 ლარი. აიპს აღნიშნული მიმართულებით რაიმე ქმედება არ განუხორციელებია.

პირობითი მოსაზრება

აიპს ჯარიმების სახით მხოლოდ 2018 წლიდან 2022 წლის ჩათვლით გადახდილი აქვს 34 040 ლარი. აღნიშნული თანხით შესაძლებელია რამოდენიმე ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება. ჩვენი მოსაზრებით აღნიშნული კვალიფიცირდება როგორც ბიუჯეტის არაეფექტური, უყაირათო ხარჯვა. რაც რათქმაუნდა გამიზნული პროცედურა არ გახლავთ. შემდგომში აიპმა ბიუჯეტის დაგეგმარების დროს გაითვალისწინოს აღნიშნული ხარვეზები და ბიუჯეტის დაგეგმვა მოახდინოს სწორად.

რეკომენდაცია

აიპმა ბიუჯეტის შემდგომი დაგეგმარების დროს გაითვალისწინოს ბაღებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის, ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო თანხა და ბაღის ინფრასტრუქტურა მოიყვანოს არსებული სტანდარტების შესაბამისად.

წინა აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი

ა(ა)იპ ,,ხულოს საბავშვო ბაღების გაერთიანებაში" წინა აუდიტორული შემოწმება განხორციელდა 2021 წელს. შესამოწმებელ პერიოდად განისაზღვრა 2019- 2020 წლები. გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის დადგენის მიზნით მონიტორინგი ჩაუტარდა წინა აუდიტორული შემოწმებისას გაცემულ, 6 საშუალო მნიშვნელობის რეკომენდაციას. რეკომენდაციები იყო ინვენტარიზაციის სწორად ჩატარების, კვების, სანიტარულ- ჰიგიენური მდგომარეობის და უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ, ლოგოპედების და ფსიქოლოგის შტატების დაშვებაზე და საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით.რეკომენდაციის ნაწილი შესრულებულია ნაწილს კი ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი: / ზვიად თავართქილაძე /

უფროსი სპეციალისტი / გენად შავაძე /

უფროსი სპეციალისტი / სოფიკო ქონიაძე /